საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერგემლიძე ნუგზარ ოთარის ძე



ნ. ერგემლიძე

ერგემლიძე ნუგზარ ოთარის ძე (დ. 1. V. 1955, ბათუმი), მხატვარი, მუსიკოსი. დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკად. დიზაინის ფაკ-ტი (1978). აკად. დამთავრების შემდეგ მუშაობდა მხატვარ-კონსტრუქტორად (1978–80). იყო ანსამბლ 75-ის წევრი (1981), საქართვ. ტელე-რადიომაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტის რედაქტორი (1982–2004), აჭარის არ ტელევიზიის მუს. გადაცემების პროდიუსერი (2006–07). ავტორია მრავალი სიმღერისა (თუკი გესიზმრები, ბაკურიანი, თოვლი მოდის და სხვ.), აგრეთვე, ორი რომანისა და ლექსების კრებულისა. გამართული აქვს 3 პერსონალური გამოფენა: თბილისში (მხატვრის სახლი, 1986), ქუთაისში (1986), ბათუმში (1987). არის რამდენიმე მუს. კონკურსის გამარჯვებული. საქართვ. პარლამენტის წევრი (2008–12).